აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის ანგარიში

2014 -2017 წ.წ. გაწეული სამუშაოების შესახებ

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტის საქმიანობა ძირითადად წარიმართა ორი პრიორიტეტული მიმართულებით:

I. აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა (ძირითადად, გალის რაიონის „ ძველ ადმინისტრაციულ საზღვრებში");

II. სოფლად მცხოვრები ი.გ.პ-თა სხვადასხვა აგრო-პროექტებში ჩართულობის ხელშეწყობა;

რომელთა ფარგლებში განხორციელებულმა აქტივობებმა გარდა მიღწევებისა ნათლად წარმოაჩინა არსებული პრობლემები.

მიმართულება N1. აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ძირითადად გალის რაიონში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა დიდწილად დამოკიდებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაზე, შესაბამისად არსებული რეალობის გათვალისწინებით, რაც მათ შორის გულისხმობს აქტივობების იმპლემენტაციისათვის საჭირო რესურსებს, მონიტორინგის მექანიზმებსა და განხორციელების შესაძლებლობას აქცენტი ბოლო წლებში გაკათებულია მცენარეთა დაცვისა და ვეტერინარიის სექტორებზე. ორივე ეს სექტორი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების თანმდევ რისკებზე, შესაბამისად მათი მინიმიზაცია ხელს უწყობს ადგიოლბრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდას.

- *მცენარეთა დაცვა*



მიღწევები: პოსტკონფლიქტურ პერიოდში ერთ-ერთ ძირითადი გამოწვევა იყო „ამერიკული თეთრი პეპელას“ გავრცელება და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები.

2007-2014 წლებში გატარებული გეგმაზომიერი და ეფექტური ღონისძიებების შედეგად, რომლის ფარგლებში ყოველწლიურად მიმდინარეობდა 4.000 ჰა-ზე მეტი ფართობების დამუშავება ქიმიური საშუალებებით, 2015-2016 წლებში ჩატარებული მონიტორინგის დროს არ დაფიქსირებულა ამ მავნებლის გავრცელების არცერთი ლოკალური კერა.

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ (რომლებიც საკმაოდ არაორდინარულ პირობებში ახორციელებენ საქმიანობას ოკუპირებული გალის ტერიტორიაზე) მიმდინარეობდა სისტემატური მონიტორინგი სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე განსაკუთრებით საშიში, საკარანტინო და რაიონში გამოვლენილ სხვა მავნებლების, დაავადებების, სარეველების განვითარებაზე და მათი მასობრივ გამრავლებაზე.

2016 წლის ბოლომდე ძირითადი აქცენტი გაკეთებული იყო მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლების - *თხილის კვირტის ტკიპა, თხილის შავი ხარაბუზა, ოქროკუდა, არაფარდი პარკიხვევია* და სხვა - წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებზე. კერძოდ, 2016 წელს საქართველოს სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ მიერ უსასყიდლოდ იქნა გადმოცემული გარკვეული რაოდენობის შემმასხურებელი აპარატი და ქიმიური პრეპარატი (ინსექტიციდი - „ალპაკი“), რომლებიც გალის რაიონში მცხოვრები ჩვენი თანამშრომლების მეშვეობით გადაეცა ადგილობრივ მოსახლეობას, რამაც დაახლოებით 3.000 ჰა ფართობზე განლაგებული მრავალწლიანი კულტურების ქიმიური შეწამვლის საშუალება მისცა მათ.

გარდა ამისა გალის რაიონში დაფიქსირებული იქნა სხვა და სხვა სახის სოკოვანი, ბაქტერიული და ვირუსული დაავადებებიც. ჩვენი სპეციალისტების მიერ ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებული იქნა ამ დაავადებების მიმართ ბრძოლის ღონისძიებების ჩატარებაზე, რაც ითვალისწინებდა აგროტექნიკურ ღონისძიებების დროულ და ხარისხიან ჩატარებას, რომელიც მოიცავს პროფილაქტიკურ, სანიტარულ-ჰიგიენური და ქიმიურ ასპექტებს.

უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლამდე მცენარეთა დაცვის კუთხით გალის რაიონში სიტუაცია დადებითი ტენდეციებით ხასიათდებოდა, თუმცა საშიში მავნებელის- „აზიური ფაროსანას“ გავრცელების შედეგად ის რადიკალურად შეიცვალა.

„აზიური ფაროსანა“ (ლათ. Halyomorpha halys) - საშიში მავნებელია, რომელიც აზიანებს 300-ზე მეტ სახეობის სასოფლო-სამეურნეო კულტურას. 2016-2017 წლებში მისი მასიური გავრცელების შედეგად მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიადგა დასავლეთ საქართველოს, მათ შორის აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას. შექმნილი კატასტროფული მდგომარეობიდან გამომდინარე საქართველოს მთავრობამ დაიწყო მასშტაბური ბრძოლის ღონისძიებები და, შესაბამისად დეპარტამენტის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება გახდა *აზიური ფაროსანას* წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების უშუალო

განხორციელება გალის ოკუპირებულ ტერიტორიაზე. კერძოდ, საქართველოს მთავრობის მიერ იქნა მიღებული 2017 წლის 24 მარტის N588 განკარგულება, რომლის ერთ-ერთი მუხლი ითვალისწინებდა აფხაზეთის ა/რ მთავრობის მიერ *აზიური ფაროსანას* წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების გატარებას აფხაზეთის ტერიტორიაზე.

აღნიშნული განკარგულების თანახმად, გალის რაიონში 6.000 (ექვსი ათასი) ჰა თხილის ფართობის დასამუშავებლად გამოყოფილ იქნა სათანადო რაოდენობის სპეციალიზირებული ეკიპირება, ქიმიური პრეპარატი და საპოხი მასალა. ამერიკის განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტმა REAP-მა კი გამოყო შემასხურებელი აპარატები და ე.წ. ,,ფერომონები“ (მატყუარა წებოვანი ფირფიტებით). ბრძოლის ღონისძიებებზე დასაქმებული პერსონალისთვის ზემოთ აღნიშნული განკარგულებით გამოიყო 300.000 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24/03 N588 განკარგულების განხორციელების უზრუნველსაყოფად აფხაზეთის ა/რ მთავრობის მიერ მიღებულ იქნა 2017 წლის 5 ივნისის N 14 განკარგულება ,,გალის რაიონში *აზიური ფაროსანას* წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“, რომლის შესაბამისად აფხაზეთის ა/რ მთავრობაში შემავალ სტრუქტურებს დაევალათ ამ ქვეპროგრამაში ჩართულობა და კონკრეტული აქტივობების განხორციელება.

დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ჩამოყალიბებულ იქნა სამუშაო ჯგუფები 362 წევრის შემადგენლობით გალის რაიონის სოფლების მიხედვით, შემუშავდა გამოყოფილი პრეპარატების, შემასხურებელი აპარატებისა და დამცავი საშუალებების განაწილების ოპტიმალური სქემა.



აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებასთან შეთანხმებით (მოლაპარაკებებს აწარმოებდა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი) გამოყოფილი მატერიალური ფასეულობები (კერძოდ, ინსექტიციდი ,,ზონდერ 100-ეკ“ -7.200 ლიტრი, ზურგსაკიდი შემასხურებელი აგრეგატი „SOLO PORT 423“ -182 ცალი, დამცავი კომბინეზონი - 2.910 ცალი, რესპირატორი - 370 ცალი, დამცავი ხელთათმანი - 740 წყვილი, დამცავი სათვალე - 370 ცალი, ხმაურის ჩამხშობი (ყურის საცობი) -1.000 ცალი და ორტაქტიანი ძრავის ზეთი - 960 ლიტრი) საერთშორისო ორგანიზაცია ACF - ის ჩართულობით უნდა გადატანილ იყო გალის რაიონში, და გალის დე-ფაქტო ადმინისტრაციის მიერ უნდა განაწილებულიყო ჩვენს მიერ მიწოდებული სიის მიხედვით. თუმცა აფხაზურმა მხარემ დაარღვია შეთანხმების პირობები და ფაქტიურად განაწილდა მიღებული ქონების მხოლოდ ნაწილი (2.148 ლიტრი ინსექტიციდი - გამოყოფილის 30 %, ზეთი - 405 ლიტრი / 42%, დამცავი კომბინიზონი - 229 ცალი / 8%, რესპირატორი -111 ცალი /30%, დამცავი ხელთათმანი - 210 ცალი / 28%, დამცავი სათვალე - 109 ცალი/30%, ხმაურის ჩამხშობი - 35 ცალი / 4%, ძრავის ზეთი - 405 ლიტრი / 42%).

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე შესაძლებელი გახდა მხოლოდ 3 595 ჰა თხილის ნარგავის ფართობის დამუშავება, რამაც შეადგინა თავიდანვე გათვალისწინებული 6.000 ჰა ფართობის 60%, შესაბამისად, სამუშაო ჯგუფების წევრებს დაერიცხათ ხელფასის სახით მხოლოდ179. 750 ლარი.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი დეპარტამენტის სპეციალისტები აქტიურად მონაწილეობენ არა მარტო ცენტრალური ხელისუფლების მიერ აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებათა ქვეპროგრამაში, არამედ ინტენსიურად თანამშრომლობენ მეცნიერთა ჯგუფთან არსებული ტრადიციული ქიმიური მეთოდების ალტერნატიული, ბიოლოგიური ტექნოლოგიების შემუშავების მიზნით. მოკლე პერიოდის მანძილზე ჯგუფის მიერ შექმნილი ალტერნატიური მეთოდით ჩატარებული ლაბორატორიული და საველე კვლევები შთამბეჭდავია. თუმცა, ბუნებრივია, რომ პროექტის სრულფასოვანი განხორციელებისთვის საჭიროა გარკვეული მოცულობის სამეცნიერო და კვლევითი სამუშაოების ჩატარება (როგორც კამერული და ლაბორატორიული, ასევე საველე), რაც ამ შემთხვევაში დაკავშირებულია არც თუ ისე დიდ თანხებთან, რომლთა მოძიებას დეპარტამენტი ახორციელებს ამჟამად.

პრობლემა: აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლა და მისი გავრცელებით მიყენებული ზიანის მინიმიზაცია მოითხოვს მრავალწლიანი სისტემატური

ღონისძიებების დაგეგმვასა და მათ იმპლემენტაციას, რაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული რეალობიდან გამომდინარე სერიოზულ რისკებს შეიცავს.

გარდა ამისა, ზემოთხსენებული ქვეპროგრამით გათვალისწინებული იყო გამოყოფილი თანხის მიმართვა მხოლოდ კონკრეტული მიზნებისათვის (თხილის პლანტაციების დამუშავება), თუმცა ამავე დროს გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ გალის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა *აზიური ფაროსანას* მიერ მიყენებულ ზარალის შესამცირებლად ითხოვს ქვეპროგრამის ფარგლებში დამატებითი აგროქიმიური ღონისძიებების განხორციელებას. კერძოდ, არაერთი სპეციალისტისგან მიღებული რეკომენდაციებით ირკვევა, რომ ძალზედ ეფექტური იქნება *შემოდგომა - ზამთრის* პერიოდში ქიმიური პრეპარატით დამუშავება გალის რაიონის ტერიტორიაზე განთავსებული ყველა სახის შენობა-ნაგებობების, სადაც ეს მავნებელი პარაზიტი გამოსაზამთრებლად თავშეფარებული იქნება. აღნიშნული ღონისძიება (სხვა სახის მექანიკური მეთოდებისა და ალტერნატიული/ბიოლოგიური პრეპარატების გამოყენებასთან ერთად) საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად შევამციროთ ამ ინვაიდერის პოპულაცია.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მჭიდრო თანამშრომლობა ცენტრალური ხელისუფლების კომპენენტურ უწყებებთან, რათა 2018 წელს გაცილებით ამაღლდეს დაგეგმილი ღონისძიებების ეფექტურობა.

- *ვეტერინარია*

გალის რაიონის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს მეცხოველეობა, მეფრინველეობა და მეფუტკრეობა, რომელთა განვითარება პრაქტიკულად შეუძლებელია სათანადო ვეტერინარული მომსახურების გარეშე.

მეცხოველეობისა და მეფუტკრეობის განვითარებაში გარკვეული წვლილი მიუძღვის აფხაზეთის ა/რ მთავრობის სუბსიდირების პროგრამას: „ინვაზიური და სხვა სახის დაავადებათა საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება“ (ფინანსდება 2006 წლიდან), რომელიც ითვალისწინებს გალის რაიონის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობის უზრუნველყოფას აუცილებელი ვეტერინარული მედიკამენტებით და შემდგომში ვეტმომსახურეობის გაწევას შინაური ცხოველების, ფრინველებისა და ფუტკრების ინვაზიური, ინფექციური და არაინფექციური დაავადებათა საპროფილაქტიკო-სამკურნალო ღონისძიებების განხორციელებას. ბოლო სამი წლის განმავლობაში ოკუპირებული გალის რაიონის „ახალ ადმინისტრაციულ საზღვრებში“ მცხოვრები მოსახლეობის საკუთრებაში მყოფ 140.000-მდე შინაურ ცხოველს და 7.000-მდე ფუტკრის ოჯახს ჩაუტარდათ გეგმიური და არაგეგმიური საპროფილაქტიკო-სამკურნალო ღონისძიებები. პრაქტიკულად აფხაზეთის ა/რ ბიუჯეტიდან ამ მიმართულებით ჯამურად 3 წლის განმავლობაში დაიხარჯა 175.600 ლარი, აქედან პროგრამულმა დაფინანსებამ 46.000 ლარი შეადგინა. მომსახურეობა გაეწია 32 ათას ოჯახს.

დეპარტამენტის სპეციალისტები წლების განმავლობაში აქტიურად თანამშრომლობენ სსიპ "სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან" ოკუპირებული გალის რაიონის მოსახლეობის საკუთრებაში არსებული პირუტყვის ვაქცინებით იმუნიზაციაზე ისეთ დაავადებებზე როგორიცაა თურქული, ჯილეხი, ცოფი, ნოდულარული დერმატიტი. მუდმივი კონტაქტი ადგილობრივ მოსახლეობასთან ჩვენს ვეტსპეციალისტებს საშუალებას აძლევს დააწესონ კონტროლს შინაური ცხოველებისა და ფუტკართა ინფექციური დაავადებების გაჩენაზე, მათ უტარდებათ სხვა და სხვა ფორმატის ტრენინგები და კონსულტაციები საშიშ დაავადებათა არსის შესახებ. შედეგად-დღესდღეობით გალის რაიონი წარმოადგენს აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ერთ-ერთ უსაფრთხო და კეთილსაიმედო ტერიტორიას საშიში ინფექციური დაავადებათა თვალსაზრისით.

პრობლემა: ბოლო წლების განმავლობაში ვეტერინარიის მიმართულებით ჩატარებული საკმაოდ მასშტაბური და ეფექტური სამუშაოების მიუხედავად მთავარი პრობლემაა ზემოთაღნიშნული მომსახურების გავრცელების შეზღუდული არეალი

(ამჟამად ის მოიცავს გალის რაიონის 22 სოფელს), ხოლო მისი გაფართოებისათვის აუცილებელია დამატებითი ფინანსური და ადამიანური რესურსის მობილიზება.

მიმართულება #2. სოფლად მცხოვრებ ი.გ.პ.-თა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა ერთ-ერთი უმწავავესი პრობლემაა, რომლის გადაჭრის ხელშეწყობის მიზნით დეპარტამენტი საანგარიშო პერიოდში იყენებდა ცენტრალური უწყებების, აფხაზეთის ა/რ მთავრობის, საერთაშორისო დონორ-ორგანიზაციების, ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის, ბინზეს-სუბიექტებისა და დევნილთა საინიციატივო ჯგუფების თანამშრომლობის ფორმატს, რომლის ფარგლებში მხარეები მათთვის ხელმისაწვდომი რესურსის გაერთიანებით ახორციელებდნენ ამ მოწყვლადი ჯგუფების დასაქმებს ხელშეწყობას, კერძოდ:

- დეპარტამენტის მიერ ხორციელდებოდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ არალიკვიდური უძრავ-მოძრავი ქონების მოძიება და ინფორმაციის მიწოდება ცენტრალური კომპენტენტური უწყებებისათვის;
- საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო, კერძოდ მის სისტემაში შემავალი სსიპ „ქონების ეროვნული სააგენტო" აფხაზეთის მთავრობის მომართვის საფუძველზე ახდენდა ქონების შესწავლას/იდენტიფიცირებას, აღრიცხვას და შემაფერხებელი ფაქტორების

არარსებობის შემთხვევაში ღებულობდა გადაწყვეტილებას მის გადმოცემაზე უსასყიდლო სარგებლობის უფლებით;

- დეპარტამენტი აფხაზეთის მთავრობასთან კოორდინაციაში ახორციელებდა საერთაშორისო დონორ-ორგანიზაციებთან და სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობას ამ ქონების საგრანტო პროგრამებში გამოყენების მიზნით, ასევე დაინტერესებულ ბიზნეს-სუბიექტებთან საინვესტიციო პროგრამების განხორციელებისთვის;
- დეპარატმენტი ახორციელებდა, განსაკუთრებით მდ. ენგურზე ე.წ. „გამყოფი ხაზის“ მიმდებარე მუნიციპალიტეტებში (ზუგდიდი, წალენჯიხა) დაინტერესებული, მოტივირებული და შესაბამისი გამოცდილების მქონე აფხაზეთიდან დევნილთა მოძიებას, მათ გაერთიანებას საინიციატივო ჯგუფებში, სხვადასხვა აგრო-პროექტების მომზადებაში საკონსულტაციო მომსახურებას და მათ მხარდაჭერას.

ზემოთაღნიშნული თანამშრომლობის ფორმატში განხორციელდა შემდგომი აქტივობები:

- 2014 წლის თებერვალში დეპარტამენტის ინიციატივით და აქტიური მონაწილეობით აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სარგებლობის უფლებით არსებობის ვადით გადაეცა მიწის ნაკვეთები ზუგდიდის რაიონის სოფ.რუხში (321 ჰა) და სოფ. რიყეში (26,5 ჰა), რომლის ერთ-ერთ ნაწილზე (17 ჰა) მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ დევნილთა და ადგილობრივი მოსახლეობის საინიციატივო ჯგუფი ბოლო წლების განმავლობაში ახორციელებდა ერთწლიანი კულტურის - სიმინდის -მოყვანას. შედეგად: წლების განმავლობაში დამატებითი საარსებო წყაროს ღებულობდა 60 ბენეფიციარი.

ზემოთაღნიშნულ მიწის ფართობებზე აფხაზეთის ა/რ მთავრობის თანხმობით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელდა ინერტული მასალების მოპოვებაზე სალიცენზიო ნებართვის გაცემა სხვადასხვა კომპანიებზე. ამ პროცესს წინ უძღვებოდა აღნიშნულ ბიზნეს-სტრუქტურებსა და აფხაზეთის ა/რ მთავრობას შორის

თანამშრომლობის შესახებ შესაბამისი მემორანდუმების გაფორმება, რომელიც ითვალისწინებს აფხაზეთის ა/რ მთავრობის თანხმობას ამ ტერიტორიაზე ლიცენზირებული საქმიანობის განხორციელებაზე და ბიზნეს-სტრუქტურების მიერ კი აღნიშნული პროექტების განხორციელებისას მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ დევნილი მოსახლეობის დასაქმებასა და სხვადასხვა სახის მცირემასშტაბური სოციალური პროექტების განხორციელებას. ამგვარი მემორანდუმები გაფორმდა შპს "ენგურთან", შპს „გიმკასთან", შპს „ანაკლია ქონსთრაქშენ გრუპ"-სა და შპს „PROMER LTD" -სთან.

პრობლემა: დევნილთა დასაქმებისათვის ზემოთაღნიშნული მიწის ფართობების გამოყენება გრძელვადიანი დაგეგმვისა და მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსის გარეშე ნაკლებეფექტურია, რაც მოითხოვს დონორ-ორგანიზაციებთან და დაინტერესებულ ბიზნეს-სუბიექტებთან თანამშრომლობის გააქტიურებას და ასევე შესაძლებლობის ფარგლებში სახელმწიფო სახსრების გამოყენებას.

- დეპარტამენტის მიერ მოძიებულ იქნა და მისი უშუალო ჩართულობით 2014 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას სარგებლობის უფლებით არსებობის ვადით გადაეცა გარდაბნის რაიონის სოფ. კრწანისში მდებარე ყოფილი სასათბურე მეურნეობის ტერიტორიაზე განთავსებული 4,3 ჰა ფართობის მეორადი სასათბურე კონსტრუქციები. აღნიშნული აქტივებისა და USAID/NEO-ს მიერ (მასთან გაფორმებული მემორანდუმის შესაბამისად) გაწეული ფინანასური და ტექნიკური მხარდაჭერის შედეგად 2015 წელს:

ა) ქვეყნის 12 რაიონში მოეწყო 68 მცირე და საშუალო მასშტაბის სასათბურე მეურნეობა, რომელშიც <u>დასაქმებულია 200-ზე ადამიანი;</u>

ბ) მოეწყო 1.000 კვ. მ. ფართის 2 სასწავლო-სადემონსტრაციო სათბური - თბილისში (ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე) და ქუთაისში (სსიპ „ბიზნეს-ინკუბატორის" ტერიტორიაზე), რომლებიც ეხმარება აგრობიზნესის ამ დარგით დაინტერესებულ დევნილებს და ადგილობრივ მოსახლეობას პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაში.

ჩამოყალიბებული სასათბურე მეურნეობი რაიონების მიხედვით



2015 წლის ბოლოს საქართველოს ქონების ეროვნულ სააგენტოსთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად სარგებლობის უფლებით დამატებით იქნა გადმოცემული 1ჰა-ზე მეტი მეორადი სასათბურე კონსტრუქცია. დევნილთა დასაქმებისთვის ამ ქონების ეფექტური გამოყენების მიზნით 2016 წლის 2 აგვისტოს ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს აფხაზეთის ა/რ სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტსა და ამერიკის შეერთებული შტატებისა განვითარების სააგენტოს **USAID**-ის პროექტ **ZRDA**-ს მთავარ კონტრაქტორ **Chemonics International**-ს შორის, რაც გულისხმობდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის 16 სამიზნე სოფლებში დევნილთა დასაქმების მიზნით მარტივი ტიპის სასათბურე მეურნეობების მოწყობას (სულ - 1 ჰა-მდე ფართობის).

2016 წლის ბოლოს დასრულდა პროექტის პირველი ეტაპი, რომლის შედეგად 14 ბენეფიციარს გადაეცა გრძელვადიანი იჯარით 6.000 კვ.მ სასათბურე კონსტრუქციები და USAID-ის პროექტ ZRDA-ს საგრანტო დახმარება.

2017 წლის შემოდგომაზე განხორციელდა პროექტის მეორე ეტაპი, რომლის შედეგად დამატებით 11 ბენეფიციარმა მიიღო მეორადი სასათბურე კონსტრუქციები საერთო ფართობით 4.000 კვ.მ და USAID-ის პროექტ ZRDA-ს საგრანტო დახმარება.

პროექტის ორივე ეტაპის განხორციელების შედეგად დასაქმდა 70-მდე დევნილი (მათ შორის სამაჩაბლოს რეგიონიდან 20 კაცი).



2016 წელს ზემოთაღნიშნული მეორადი სასათბურე კონსტრუქციების გამოყენებით, ზუგდიდის რაიონის სოფ. რუხში იაპონიის მთავრობის GRASSROOT-ის და ადამიანთა უსაფრთხოების საგრანტო დახმარების და კულტურული პროექტები GGP/GCGP ფარგლებში, აფხაზეთის მთავრობის აქტიური მხარდაჭერით და არასამთავრობო სექტორის ჩართულობით მოეწყო 3.000მ^2 ფართის სასწავლო-სადემონსტრაციო სასათბურე მეურნეობა, რომელშიც ამჟამად დასაქმებულია 20-მდე აფხაზეთიდან დევნილი.

სამოქალაქო საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობის გააქტიურების და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრებ სოციალურად დაუცველი პირების საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის ზრდის მიზნით 2016 წლის 14 დეკემბერს დეპარტამენტსა და საქველმოქმედო **ჰუმანიტარულ ცენტრ „აფხაზეთს"** შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა. აღნიშნული შეთანხმების ფორმატში დეპარტამენტმა მოახდინა აფხაზეთიდან ი.გ.პ.-თა და სხვა სოციალურად დაუცველი პირებისათვის 0.1 ჰა ფართის სასათბურე კონსტრუქციების გადმოცემა. აღნიშნულის შედეგად ქვეყნის სამ რეგიონში (სამეგრელო, შიდა ქართლი, კახეთი) შეიქმნა 3 მცირე

ზომის მარტივი ტიპის სასათბურე მეურნეობა, რომელშიც დასაქმებულია 10-მდე სოციალურად დაუცველი აფხაზეთიდან დევნილი.

პრობლემა: დევნილთა დასაქმების ხელშეწყობა, განსაკუთრებით სამეგრელოს რეგიონში ნაკლებად ტრადიციულ დარგებში, როგორიცაა სასათბურე ბიზნესი, კენკროვანი კულტურების მოყვანა და ა.შ. დაკავშირებულია ორ ძირითად პრობლემასთან:

- პროფესიული უნა-ჩვევებისა და თანამედროვე მიდგომებზე წვდომის ნაკლებობა;
- წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია (განსაკუთრებით სეზონურ პერიოდში)

რომელთა გადაჭრა შესაძლებელია მიზნობრივი საკონსულტაციო მომსახურების გაფართოებით და დონორ-ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გააქტიურებით.

- დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ექსპერტებთან კონსულტაციის შედეგად აქცენტი გაკეთებული იქნა იმ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზე, რომელიც პოპულარული იყო აფხაზეთში- კერძოდ, *მეფუტკრეობაზე.*

მეფუტკრეობის დარგში საქმიანობა წარიმართა ორი მიმართულებით - საკონსულტაციო მომსახურება და სამეწარმეო საქმიანობის მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში მეფუტკრეებს და ამ დარგით დინტერესებულ პირებს, გაეწია დახმარება ფუტკრის ოჯახების საკვები ბაზის გამოსავლენად და შემდგომ მათი განლაგების, მოვლა-პატრონობისა და მკურნალობის კუთხით. 2015-2017 წლებში ამ მომსახურებით, რომელიც მათ შორის მოიცავდა საველე ვიზიტებს, ისარგებლა 40-მდე მეფუტკრემ.

მეორე მიმართულება მოიცავდა ახალი საფუტკრეების მოწყობის დახმარებას, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბების მხარდაჭერას. სწორედ ამ აქტივობის ფარგლებში 2015 წელს შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „კოდორი-2015“, რომელშიც თავიდან გაერთიანებული იყო 5 მეფუტკრე-ფერმერი მათ საკუთრებაში რიცხულ 300-მდე ფუტკრის ოჯახით და სხვადასხვა მეფუტკრეობის დანადგარ-აღჭურვილობით. შემდგომში კოოპერატიული გაერთიანება გაიზარდა კიდევ 6 წევრით და 400-მდე ფუტკრის ოჯახით. კოოპერატივის წევრთა უმრავლესობა აფხაზეთიდან დევნილია. კოოპერატივი „კოდორი-2015“ ერთ-ერთი წარმატებული ბიზნეს-სუბიექტია დარგში, ხოლო მის წარმოებული თაფლის ხარისხი არაერთხელ დადასტურებულა საერთაშორისო ლაბორატორია „BIOR”-მიერ.

კოოპერატივმა 2016 წელს დეპარტამენტის საკონსულტაციო მხარდაჭერით გაიმარჯვა საქართველოს ფერმერთა ასოციაციის საგრანტო კონკურსში, რომლის ფარგლებში მიიღო თანამედროვე მაღალტექნოლოგიური აღჭურვილობა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით კოოპერატივის პროდუქცია წარმატებულად იქნა წარდგენილი *ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტაში 2016 წლის ნოემბერში ჩატარებულ საერთაშორისო გამოფენაზე.*

გარდა ამისა დეპარტამენტის სპეციალისტთა უშუალო ჩართულობით განვლილ პერიოდში ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში აფხაზეთიდან დევნილთა მიერ მოეწყო 7 ახალი საფუტკრე მეურნეობა 250 ფუტკრის ოჯახის რაოდენობით.

2015 წლის ბოლოს ჩეხეთის განვითარების სააგენტოს დახმარებით და დეპარტამენტის სპეციალისტების აქტიური მონაწილეობით ენდემური ქართული რუხი ფუტკრის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით ჩამოყალიბდა და შესაბამისი ინსტრუმენტ-დანადგარებით აღიჭურვა (პირველად სამხრეთ კავკასიაში !) *დედა-ფუტკრის ხელოვნური განაყოფიერების ლაბორატორია.*

დევნილი მეფუტკრეების მიერ წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით დეპარტამენტი ორგანიზებას უწევს მათ მონაწილეობას საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების მიერ ორგანიზებულ ფესტივალებსა თუ გამოფენებში. საანგარიშო პერიოდში მათ ამ ტიპის 40-ზე მეტ ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა.

პრობლემა: საბოლოო პროდუქციის რეალიზაციის სირთულეები, როგორც ადგილობრივ, ისე საექსპორტო ბაზარზე, მავნებელ-დაავადებებისაგან მიყენებული ზიანი, პროდუქციის მაღალი თვითღირებულება და ა.შ., რომელთა გადაჭრის მიზნით უფრო მეტი კოორდინაცია აუცილებელი ცენტრალურ უწყებებთან და დონორ-ორგანიზაციებთან.

- ზემოთაღნიშნული აქტივობების გარდა, რომელიც მიმართულია დასაქმებაზე ორიენტირებული პროექტებისა თუ იდეების იმპლემენტაციაში, დეპარტამენტი ახორციელებდა თავისი კომპენტენციის ფარგლებში აგრარული მიმართულებით არსებული მთელი რიგი საკითხების შესწავლას, პრობლემათა ანალიზს და მათი გადაჭრის გზების შემუშავებას, კერძოდ:

- 2015 წლის 11 თებერვალს აფხაზეთის ა/რ მთავრობის ეგიდით და დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა“მრგვალი მაგიდა“ თემაზე *„აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, დევნილთა დასაქმების პერსპექტივები და ქვეყნის აგრარულ სექტორში მიმდინარე პროცესებში მათი ჩართულობა“.*

„მრგვალი მაგიდის“ მიზანი იყო დევნილთა დასაქმების ხელშეწყობის პროცესში სახელმწიფო რესურსების უფრო აქტიური ჩართულობის იდეებისა და მოსაზრებათა განზოგადოება და ფართო საზოგადოებისათვის დეპარტამენტის მიერ ამ მიმართულებებით გადადგმული ნაბიჯების განხილვა.

- 2016 წლის 22 ივნისს „თემთა განვითარების სააგენტოს“/RCDA ცენტრში დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე: *,,სოფლად მცხოვრები იძულებით გადაადგილებულ პირთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა და აგრარულ სექტორში მიმდინარე სახელმწიფო პროგრამებში დევნილთა ჩართულობა: პრობლემები და პერსპექტივები”.* რომლის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე მოხდა სოფლად მცხოვრები დევნილების დასაქმების ხელშემწყობი ღონისძიებების ინიცირება. დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ წარმოჩენილ იქნა ის რესურსი, რაც ორგანიზაციას გააჩნია დევნილთა დასაქმების ხელშეწყობის კუთხით

✓ საანგარიშო პერიოდში შესწავლილ იქნა გალის რაიონის ძველ ადმინისტრაციულ საზღვარზე სოფლის მეურნეობაში არსებული ტენდენციები, რაც ასახულია FAO- მასალებში;

✓ შეიქმნა საქართველოს რეგიონებში სოფლად მცხოვრებ დევნილთა, ასევე საქართველოში აკრედიტირებული დონორი ორგანიზაციების მონაცემთა ბაზა.

- ✓ შესწავლილ და აღრიცხულ იქნა ე.წ. „გამყოფი ხაზის“ მიმდებარე სოფლებში აგრარულ სექტორში დასაქმებული დევნილი მოსახლეობის რაოდენობა და მათ საკუთრებაში არსებული ან იჯარით აღებული მიწის ფართობები.



- ✓ შემუშავდა 30-მდე სხვა და სხვა სახის საინვესტიციო პროექტი, რომლებშიც გამოყენებულია მტელი რიგი ინოვაციური მიდგომები და იდეები, მ.შ. კარტოფილის, ვაშლის ჩიფსების წარმოება, თხილის გაწმენდა-მოხალვა, ნამცხვრების მოჭიქურება და დეკორირება, კომბინირებული საკვების გრანულების წარმოება, ხილის მშრალი კონცენტრატების დაფასოება და სხვა;
- ✓ შემუშავდა და ფერადი ილუსტრაციით გამოიცა პრაქტიკული ცნობარები, ბიულეტენი და ბროშურები დამწყებ ფერმერთათვის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: სასათბურე კონსტრუქციები და მათი მოწყობის პრინციპები, ლურჯი მოცვის მოყვანა, კოლხური ხოხობის, მწყერისა და კურდღლის მოშენება, კიტრის, პომიდორის მოყვანის პრაქტიკული ცნობარები და ა.შ. გამოცემული მასალები უსასყიდლოდ დარიგდა დევნილთა კომპაქტურად განსახლების ადგილებში;
- ✓ აგრარული სექტორში დასაქმებული ან ამ დარგით დაინტერესებული დევნილები სისტემატურად ღებულობენ საკონსულტაციო მომსახურებას შემდეგი მიმართულებებით:

-სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნა-ფუნქციონირება;

-სოფლის მეურნეობის დარგში მოქმედი სახელმწიფო პროგრამებში ჩართულობის პრაქტიკული საკითხები;

-დარგობრივი მიმართულებები - მემცენარეობა, მეცხოველეობა;

-ინოვაციური აგრო-ტექნოლოგიები და ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა;
-მცირე და მიკრო ფერმერული მეურნეობების ბიზნეს-პროექტები და სხვა.

საანგარიშო პერიოდში საკონსულტაციო მომსახურებით ისარგებლა 300-ზე მეტმა დევნილმა.

დეპარტამენტის საქმიანობის მეორე მიმართულებაა - *გარემოს დაცვა და სატყეო დარგი.* 2016 წელს სატყეო სამმართველოს ბაზაზე შეიქმნა სსიპ „გამწვანებისა და გარემოსდაცვითი პროექტების სააგენტო“, რომლის მიერ განხორციელდა შემდგომი აქტივობები:

კოლხური ბზის გადარჩენის ღონისძიებები

საქართველოს ფლორის რელიქტი და კავკასიის დენდროფლორის ენდემი, კოლხური ტყის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი და დომინანტი სახეობა - კოლხური ბზა (Buxus Colchica) მავნებელ-დაავადებების გავრცელების შედეგად განადგურების საფრთხის წინაშეა, კერძოდ 2010 წლიდან ჯერ აჭარის ტერიტორიაზე, ხოლო შემდეგ დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში გავრცელება დაიწყო დაავადებამ *ბზის დამწვრობა, რომლის გამომწვევია სოკო - Cylidrocladium buxicola.* 2014 წლიდან ის უკვე ფიქსირდება აფხაზეთის ტერიტორიაზე. ამავე დროს 2012 წელს სოჭის (რუსეთი) ოლიმპიური სოფლის გასამწვანებლად იტალიიდან შემოტანილ ბზის სარგავ მასალას შემოყვა მავნებელი - ბზის ალურა (Cydalima perspectalis), რომელმაც 2013 წლიდან დაიწყო გავრცელება აფხაზეთის ტერიტორიაზე და 2014 წლიდან კი დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ სხვა უწყებებთან კოორდინაციაში მავნებელ-დაავადებების გავრცელების პირველივე ეტაპზე დაიწყო პრობლემის შესწავლა და ბრძოლის ღონისძიებების შემუშავება. აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე კოლხური ბზას უკავია 5.000 ჰა-მდე ფართობი, რომლის დაზიანების ხარისხი აღწევს 80-90%.



ამ ფაქტორის გათვალისწინებით 2015 წლის ბოლოდან კოლხური ბზის გადარჩენის ღონისძიებებში აქტიურად ჩაერთო დეპარტამენტი და მის სისტემაში შემავალი სსიპ „გამწვანებისა და გარემოსდაცვითი პროექტების სააგენტო“, კერძოდ:

- 2016 წელს განმავლობაში ჩართული ვიყავით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შემქნილი სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში, რომლის მიერ მომზადდა კოლხური ბზის გადარჩენის ეროვნული სამთავრობო გეგმის პროექტი;
- 2016 წლის 28 თებერვალს დეპარტამენტის ორგანიზებით კოლხური ბზის გადარჩენის ეროვნული სამთავრობო სამოქმედო გეგმის შემუშავების ფარგლებში შედგა სამუშაო შეხვედრა თემაზე ,,კოლხური ბზის მავნებელ-დაავადებები და მათთან ბრძოლა", რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი სამინისტროს, სამეცნიერო და საექსპერტო წრეების, ამ სფეროში მომუშავე კომპანიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა
- კოლხური ბზის გადარჩენის ღონისძიებების ერთ-ერთი მიმართულებით - სანერგეების მოწყობა მომზადდა პროექტი „კოლხური ბზის საბაზისო სანერგე მეურნეობა“, რომლის იმპლემენტაციის მიზნით 2016 წლის 10 მაისს დეპარტამენტის სისტემაში შემავალ სსიპ „გამწვანებისა და გარემოსდაცვითი პროექტების სააგენტოსა“ და კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელსა CENN-ს შორის გაფორმდა პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში (პირველად საქართველოში!) ზუგდიდის რაიონის სოფ.რუხში შეიქმნა კოლხური ბზის საპილოტე სანერგე მეურნეობა, სადაც ნერგების გამოყვანა განხორციელდა დახურულ გრუნტში დაკალმების მეთოდით.

2016 წლის სექტემბერში საქართველოს ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან კოორდინაციაში დამზადდა და ჩარგულ იქნა 30.000 კოლხური ბზის კალამი. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში დახურულ გრუნტში კოლხური ბზის ნერგების დაკალმების მეთოდით გამოყვანის მასშტაბური სამუშაოები იყო პირველი პრეცედენტი მიღებული რეზულტატი - 16 000-მდე კოლხური ბზის ნერგი (ამ სფეროში მოღვაწე სპეციალისტთა აზრით) ძალიან კარგი შედეგია.

მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე და ხარჯების მინიმიზაციის მიზნით 2018 წლის გაზაფხულამდე ნერგების მოვლა-პატრონობა გაგრძელდება ზუგდიდის

სოფ.რუხში, ხოლო შემდგომ მათი გადმოტანა და ნერგების კვლავწარმოება გაგრძელდება *ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში* სსიპ „გამწვანებისა და გარემოსდაცვითი პროექტების სააგენტოს“-ზე სარგებლობის უფლებით გადმოცემულ 1,5 ჰა ფართობის ტერიტორიაზე.

გლდანის ყოფილ ნაგავსაყრელზე გამწვანება-გატყევების სამუშაოები

2014 წლიდან სსიპ „გამწვანებისა და გარემოსდაცვითი პროექტების“ სააგენტოს ქ.თბილისის მერიამ სარგებლობის უფლებით გადასცა გლდანის ყოფილი ნაგავსაყრელის პოლიგონი.

2014 წლიდან დღემდე ზემოთაღნიშნულ ტერიტორიაზე (7,0 ჰა) მიმდინარეობს მიზანმიმართული და სისტემატური სარეკრეაციო-საკულტივაციო სამუშაოები - ტერიტორიაზე ნიადაგის დამუშავება, გამწვანება და ნარგავების მოვლა-პატრონობა. ამ პერიოდის განმავლობაში დარგულ იქნა 6.000-ზე მეტი ნერგი. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება თბილისის მერიის სათანადო სამსახურებთან აღნისნულ ტერიტორიაზე სრულყოფილი სარეკულტივაციო ღონისზიებების ჩატარების მიზნით პოლიგონზე დამატებითი გრუნტის საფარის (ე.წ. „სარკოფაგის“) შექმნასთან დაკავშირებით.